

საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ორშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი.

№96 (1606)

2-3 ოქტომბერი, 1997 წელი



ისეთ საშვას სრადიან, მხედრიონი მათთან მამა აბრამის ბაბუნად მოგუჩვენებს...

იხ. მეექვსე გვერდი

გუშინდელი ქმეზი — დღევანდელი გბრეზი...

ფრანკლინს "ვეერი, ოთარ მეტაქაძე უკმაყოფილოა იუსტიციის საბჭოს იმ წევრებით, რომლებიც პარლამენტმა აირჩია. მისი თქმით, ზოგი მათგანი პროფესიონალი იურისტი არ არის. ამ შემთხვევაში ოთარ მეტაქაძე აქცენტს ფრქვია "სახალხო" წევრზე, თენგიზ შარმანაშვილზე, აკეთებს.

როგორც ჩანს, ძველ თანაპარტიელთა შორის ისევე უთანხმოებაა — ედა-ს პარლამენტის გადაწყვეტილება შარმანაშვილის იუსტიციის საბჭოში არჩევასთან დაკავშირებით სწორად არ მიაჩნია.

ამ ფაქტის გამო, გუშინდელ ფრქვია "სახალხო"-ს სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, "სახალხო" წევრმა, გიორგი კობახიძემ მოითხოვა ოპონენტებისგან, რომ თუ რეალური საფუძველი აქვს შარმანაშვილის კანდიდატურის ექვემდებარებას, გაკეთდეს ხმამაღალი განცხადება

ამის თაობაზე და თუ შარმანაშვილის პიროვნება მართლაც მიუღებელი აღმოჩნდება პარლამენტისთვის, მაშინ ფრქვია "სახალხო" თავად დააყენებს საკითხს, საკუთარი წევრის იუსტიციის საბჭოდან გამოყვანის შესახებ. ხოლო სანამ აუდა გადაწყვეტს, მართლაც დაუსაბუთოს თუ არა პარლამენტს შარმანაშვილის არაპროფესიონალი იურისპრუდენციაში, მანამდე, ალბათ, ურიგო არ იქნებოდა გაეხსენებინა, რომ მის წევრობას იუსტიციის საბჭოში მთელი საპარლამენტო დეპუტაციიდან მხოლოდ ოთხმა არ დაუჭირა მხარი და იგი ფაქტურად ერთსულოვნად იქნა არჩეული.

რაც შეეხება შარმანაშვილის არაპროფესიონალიობას, კობახიძის განცხადებით, ეს საკითხი დღემდე არაგის დაუყენებია ექვემდებარებას, მითუმეტეს, რომ დეპუტატ შარმანაშვილის მიღებული აქვს შესაბამისი უმაღლესი იურიდიული განათლება. (მპა)

კავასიის ხალხთა კონფედერაციის დაეფუძნებაზე ყრილობა დაგეგმ პრძინბას ანტიკავასიური, პროკრუსული პოლიტიკა

იხ. მეორე გვერდი

"არ შეიძლება ჯარი იყოს პრესტიჟული, თუ მას ყველაზე არაკრესტიჟული მინისტრი ეყოლება"

ბანაცხადა გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე საქართველოს ჯარისკაცთა უფლებების დაცვის საზოგადოების თავმჯდომარემ ნოდარ ეფრემიძემ.

ორგანიზაციას 1 წლისა და 6 თვის ფუნქციონირების მანძილზე უშუალო კონტაქტები აქვს დამყარებული იმ სტრუქტურებთან, ვისაც კავშირი აქვს ჯართან, გარდა თავდაცვის სამინისტროსა და მინისტრისა. მისი თქმით, თავდაცვის სამინისტრო ყველაზე აირად უშლის ხელს საზოგადოებას საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმის ამოქმედებაში. მისივე თქმით, დღეს ქართულ ჯარში მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა. თუმცა, შედარებით გამოსწორდა ჯარისკაცთა კვებით მომარაგების პრობლემა. რაც შეეხება ტანსაცმლით მომარაგებას, მდგომარეობა კვლავაც რთულია. როგორც ნ. ეფრემიძემ განაცხადა, ჩაუბრუნდა აღმზრდელითი დარგის მხრივ, რაც არმიაში დეზერტირების რიცხვის ზრდას იწვევს. დღეისათვის საქართველოში ოფიციალურად 2 ათასი დეზერტირია. საზოგადოების თავმჯდომარის განცხადებით კი, ეს ციფრი 6-7 ათასამდე აღწევს, საიდანაც 260 სასჯელს ციხეში იხდის. დეზერტირები მზად არიან იმსახურონ დისციპლინარულ ბატალიონში, ვიდრე ციხეში დარჩნენ. ნ. ეფრემიძემ პრეზიდენტს და პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს შესთავაზა დეზერტირთა ამინისტრირება. მისი თქმით, კომიტეტის თავმჯდომარე — რადამია მას ამ საკითხის უშიშროების საბჭოს სხდომაზე გატანას დაპირდა.

რაც შეეხება ჯარისკაცთა დამცავ მექანიზმებს, ასეთად ნ. ეფრემიძემ სამხედრო პროკურატურა და მთავარი სამხედრო ინსპექტორი დაასახელა, რომელსაც საზოგადოება მომხდარი ფაქტის შემდეგ მიმართავს, წინასწარ კი მათ არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ. (იფრინდა)

